

მწვანე ზრდის ფონდი: A-კლასის აქციები

ადგილმდებარეობა:

რეგიონალური

პროექტის ნომერი:

51440

ბიზნეს სექტორი:

არა-სადეპოზიტო კრედიტი (არასაბანკო)

შეტყობინების ტიპი:

კერძო

ეკოლოგიური კატეგორია:

FI

საბჭოზე გატანის სავარაუდო თარიღი:

2019 წლის 11 დეკემბერი

სტატუსი:

გაიარა საბოლოო განხილვის ეტაპი, იმყოფება საბჭოს თანხმობის მოლოდინის რეჟიმში

პროექტის მხარდაჭერის დოკუმენტის (PSD) ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების თარიღი:

2019 წლის 23 ოქტომბერი

პროექტის აღწერა

შემოთავაზებული გარიგება წარმოადგენს 20 მილიონი ევროს ოდენობის რეინვესტიციას მწვანე ზრდის ფონდის (GGF) A-კლასის აქციებში.

პროექტის მიზნები

EBRD- ის ინვესტიციის შედეგად მიღებული თანხები გამოყენებული იქნება ფინანსური და არაფინანსური პარტნიორი ორგანიზაციების (PI) დაფინანსებისთვის, ფონდის საინვესტიციო რეკომენდაციების შესაბამისად. პარტნიორი ორგანიზაციებისთვის სესხები გაიცემა ძირითადი სესხის, ქვესესხის

და გარანტიების ფორმით, და მიზნად ისახავს ენერგოეფექტურობის („EE“), რესურსების ეფექტურობის („RE“) და განახლებადი ენერჯის პროექტების დაფინანსებას ფონდის სამიზნე რეგიონში, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სამეზობლო რეგიონში ("ENR").

გარდაქმნის ეფექტი

GGF– სთვის დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფით, გარიგება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მწვანე ფინანსების მასშტაბურ ზრდას GGF- ის სამიზნე რეგიონში, როგორც ადგილობრივი კომერციული ბანკების მეშვეობით, ასევე განახლებადი ენერჯის პროექტებში პირდაპირი ინვესტიციების გზით, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას და გარემოზე პოზიტიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, ფონდი განაგრძობს კერძო სექტორის მონაწილეობის მოზიდვას კაპიტალის სტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს კერძო სექტორის დაფინანსების სტაბილურ და მზარდ წილს კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებებში.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მწვანე ზრდის ფონდი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა SA SICAV-SIF

მწვანე ზრდის ფონდი (GGF) არის საინვესტიციო კომპანია, რომელიც ორგანიზებულია ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონების შესაბამისად. ფონდი დაფუძნდა 2009 წლის დეკემბერში EIB და KfW-ს მიერ, და იგი მიზნად ისახავს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ინვესტიციების დაფინანსების ბაზის გაფართოებას სამხრეთ ევროპაში, მათ შორის თურქეთში, აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო რეგიონში, ასევე ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში. GGF– ს ასევე მხარს უჭერს ტექნიკური დახმარების ფონდი, რომელიც დამატებით ტექნიკურ დახმარებას უწევს პარტნიორ ორგანიზაციებს და საბოლოო მსესხებლებს მწვანე ინვესტიციებისთვის.

EBRD -ის დაფინანსება

20,000,000.00 ევრო

პროექტის ჯამური ღირებულება

20,000,000.00 ევრო

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

კატეგორია FI (ESP 2014): შემოთავაზებული ინვესტიციის ფარგლებში, GGF უნდა შეესაბამებოდეს PR 2, 4 და 9; განახორციელოს და დაიცვას EBRD– ის შესაბამისი

გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) პროცედურები; და წლიური ანგარიში წარუდგინოს EBRD-ს გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების თემაზე.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ არის გათვალისწინებული.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ლოიდ სტივენსი

L.stevens@finance-in-motion.com

+49 (0)69 271 035 113

<https://www.ggf.lu>

Carl-von-Noorden-Platz 5, 60596 ფრანკფურტი/მაინზე, გერმანია

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების საკითხებზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებთან დაკავშირებით იხილეთ [EBRD Procurement](#):

Tel: +44 20 7338 6794

Email: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

ზოგადი საკითხებისათვის EBRD პროექტების შესახებ, რაც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელფოსტა: projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა (PIP)

დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გასაჯაროების გზები და კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი თავის აქციონერებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. გთხოვთ, იხილოთ საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის გვერდი ქვემოთ, რათა გაარკვიოთ თუ როგორ უნდა მოითხოვოთ საჯარო სექტორის საბჭოს ანგარიში.

[საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის \(PIP\) ტექსტი](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM) არის EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმი. ის უზრუნველყოფს ცალკეული პირების ან ორგანიზაციების მხრიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას, რომლებიც ეხება EBRD-ის მიერ დაფინანსებულ იმ პროექტებს, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა გამოიწვიონ ზიანი გარემოს დაცვის ან/და სოციალური კუთხით.

გთხოვთ ეწვიოთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) გვერდს, სადაც განთავსებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს წარდგენილი საჩივარი. PCM ოფიცერი (pcm@ebrd.com) უპასუხებს ნებისმიერ კითხვას, რომელიც შეიძლება გქონდეთ საჩივრის წარდგენასთან და რეგისტრაციის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, [PCM პროცედურის წესების](#) შესაბამისად.